ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

მომართვის ავტორი – მოსამართლე ლ. მ.

მომართვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.06.2018

მომართვის რეგისტრაციის ნომერი: №077/18

მომართვა შემოტანილია: ადვოკატების ბ. პ.-ისა /სიითი №..../ და გ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №..../

მომართვის მოთხოვნა: ადვოკატების ბ. პ.-ისა და გ. ჩ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I. აღწერილობითი ნაწილი:

1. **მომართვის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 04 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას კერძო განჩინებით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ლ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატების ბ. პ.-ისა და გ. ჩ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მომართვის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 28 მაისს მისი თავმჯდომარეობით მიმდინარე სასამართლო სხდომაზე ბრალდებულ თ. ს.-ის ინტერესებს იცავდნენ ადვოკატები: ბ. პ. და გ. ჩ.. 2018 წლის 16 მაისს სასამართლო პროცესზე ადვოკატი გ. ჩ. არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო დაჯარიმდა. ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ 2018 წლის 28 მაისს გამართულ პროცესზე დაარღვიეს წესრიგი სხდომის დარბაზში და გამოავლინეს სასამართლოსადმი უპატივცემულობა, კერძოდ, ადვოკატების შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე მოსამართლემ არ დააკმაყოფილა, რის გამოც ადვოკატებმა - ბ. პ.-

მ და გ. ჩ.-მ მიიღეს გადაწყვეტილება პროცესის ჩაშლის მიზნით სხდომის დარბაზის დატოვების თაობაზე. მიუხედავად სასამართლოს ზეპირი შენიშვნისა და მოწოდებისა ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ თვითნებურად მიიღეს სასამართლო სხდომის დარბაზის დატოვების გადაწყვეტილება და მათი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული თ. ს. დატოვეს დაცვის გარეშე. ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ სასამართლო სხდომის დარბაზში დაარღვიეს წესრიგი და მათი ქმედება სასამართლოს მხრიდან აღქმულ იქნა აშკარა უპატივცემულობად. ადვოკატები ბ. პ. და გ. ჩ. თბილისის საქალაქო სასამართოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ 2018 წლის 28 მაისის განკარგულებით გაძევებულ იქნენ სხდომის დარბაზიდან.

1.3 მომართვის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ დაარღვიეს სასამართლოში წესრიგის დაცვის როგორც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული, ასევე "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნები.

2. ადვოკატების პოზიცია:

2.1 ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ 2018 წლის 29 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, 2018 წლის 28 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ლ. მ.-სთან იხილებოდა სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულ თ. ს.-ის მიმართ. აღნიშნულ პროცესზე ბრალდებულის უფლებებს იცავდა ორი ადვოკატი - ბ. პ. და გ. ჩ.. სხდომაზე დაცვის მხარემ იშუამდგომლა სასამართლო პროცესის გადადების შესახებ, რადგან 2018 წლის 16 მაისს გამართულ სასამართლო პროცესზე ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დაიკითხა საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი რამდენიმე მოწმე. ბრალდებული წინააღმდეგი იყო ადვოკატის გარეშე მიეღო მონაწილეობა მოწმეთა დაკითხვაში, თუმცა სასამართლომ მაინც მიიღო გადაწყვეტილება საქმისთვის არსებითად მნიშვნელოვანი მოწმეების დაკითხვის შესახებ იმ პირობებში, როდესაც ადვოკატ გ. ჩ.-ს ჰქონდა პროცესზე გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზი. კერძოდ, მას გორის რაიონულ სასამართლოში 16 მაისს იგივე დროს ჩანიშნული ჰქონდა სხვა დაცვის ქვეშ მყოფი პირის პროცესი, რაც წინასწარ ეცნობა მოსამართლე ლ. მ.-ს წერილობით. მიუხედევად ამისა, სასამართლომ გამოიტანა დადგენილება, რომლითაც დაჯარიმდა ადვოკატი გ. ჩ. ბრალდებულ თ. ს.-ის 2018 წლის 16 მაისს გამართულ სასამართლო პროცესზე არასაპატიო გამოუცხადებლობის გამო. დადგენილება ადვოკატმა გაასაჩივრა, თუმცა სასამართლომ 16 მაისს გამართულ სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება და იმავე პროცესზე ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დაკითხა რამდენიმე მოწმე. დაცვის მხარემ მიმართა განცხადებით სასამართლოს აღნიშნული პროცესის ჩანაწერის გადმოცემის მოთხოვნით, მაგრამ ვინაიდან სასამართლო იყო შვებულებაში ვერ მოხერხდა ჩანაწერის დროულად ჩაბარება და ადვოკატის მონაწილეობის გარეშე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებისა და სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთების მოსმენა. შესაბამისად, აღნიშნული დასაბუთების და მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების მოსმენის გარეშე დაცვის მხარე მოკლებული იყო შესაძლებლობას სრულყოფილად განეხორციელებინა ბრალდებულის უფლებების დაცვა. დაცვის მხარეს ასევე გასაჩივრებული ჰქონდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის (მოსამართლე: ლ. მ.) 2018 წლის 16 მაისის №1/XXX-18 განკარგულება გ. ჩ.-ის დაჯარიმების შესახებ, რაზეც სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა ნამსჯელი და გ. ჩ.-ის გამოუცხადებლობის საპატიოობის და არასაპატიოობის მიზეზი არ იყო

გადაწყვეტილი, შესაბამისად ეჭვქვეშ იყო პროცესზე ადვოკატის მონაწილეობის გარეშე მოწმეთა დაკითხვის კანონიერების საკითხი.

2.2 მიუხედავად ყველაფრისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა 28 მაისის პროცესის გადადების შესახებ, რითაც დაცვის მხარე ჩააყენა არათანაბარ პირობებში ბრალდების მხარესთან და წაართვა საშუალება სრულყოფილად დაეცვათ ბრალდებულის ინტერესები. ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულს არ სურდა პროცესში მონაწილეობის მიღება და მისი მითითებით მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ რომ არ გამოეხატათ სასამართლოსადმი უპატივცემულობა, პროცესზე გააკეთეს განცხადება რომ არც ბრალდებული და არც ადვოკატები არ აპირებდნენ პროცესში მონაწილეობის მიღებას და ტოვებდნენ სასამართლო სხდომის დარბაზს, რასაც სასამართლოს მხრიდან მოყვა მათი დაჯარიმება 200 (ორასი) ლარის ოდენობით და გაძევება.

2.3 ადვოკატების ბ. პ.-ის და გ. ჩ.-ის განმარტებით, მათ არ გამოუხატავთ უპატივცემულობა მოსამართლის და სასამართლოს მიმართ, არ დაურღვევიათ წესრიგი სასამართლო სხდომის მიმდინარეობისას. სასამართლომ კი ბრალდებულს ფაქტობრივად ჩამოართვა დაცვის უფლება, რადგან მის მიერ არჩეული ადვოკატები მისი პოზიციის დაცვის გამო გააძევა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

2.4 მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ მიღებული 2018 წლის 28 მაისის №1/XXX-18 განკარგულება ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ გაასაჩივრეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ადვოკატების საჩივარი დაკმაყოფილდა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 07 ივნისის №1ბ/სპ-XX-XX განჩინებით გააუქმა მოსამართლე ლ. მ.-ის 2018 წლის 28 მაისის №1/XXX-18 განკარგულება.

II. სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ბ. პ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №...../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 ადვოკატი გ. ჩ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №...../, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი. ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.3 მოსამართლე ლ. მ.-მ ეთიკის კომისიას მომართა 2018 წლის 04 ივნისს.

3.4 სადაო ქმედება განხორციელდა 2018 წლის 28 მაისს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატების - ბ. პ.-ის და გ. ჩ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ეთიკის კომისიაში შემდგომი რეაგირებისათვის გადმოგზავნილი კერძო განჩინების თანახმად: ადვოკატებმა ბ. პ.-მ და გ. ჩ.-მ დაარღვიეს წესრიგი სხდომის დარბაზში და გამოავლინეს სასამართლოსადმი უპატივცემულობა, რის გამოც ადვოკატები თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლე ლ. მ.-ის მიერ მიღებული 2018 წლის 28 მაისის №1/XXX-18 განკარგულებით დაჯარიმებულ და გაძევებულ იქნენ სხდომის დარბაზიდან.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-9 მუხლის "ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი არ შეიცავს ამ დებულებით განსაზღვრულ სავალდებულო რეკვიზიტებს."

5.3 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-6 მუხლის ,,გ“ პუნქტის თანახმად დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია: ,,პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიმართვა ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე.“ ხოლო ამავე დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის მიხედვით: საჩივარი უნდა შეიცავდეს "გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა". მოსამართლე ლ. მ.-ის მომართვა და მოთხოვნა ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2018 წლის 28 მაისის №1/XXX-18 განკარგულებას ადვოკატების ბ. პ.-ის და გ. ჩ.-ის დაჯარიმებისა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების თაობაზე. ეთიკის კომისიაში მოსამართლის მომართვის შემოსვლის მომენტში 2018 წლის 04 ივნისს ზემოაღნიშნული განკარგულება კანონიერ ძალაში არ იყო შესული. 2018 წლის 07 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებით საქმეზე №1ბ/სპ-XX-XX დაკმაყოფილდა ადვოკატების ბ. პ.-ის და გ. ჩ.-ის საჩივარი და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის 2018 წლის 28 მაისის №1/XXX-18 განკარგულება - ბ. პ.-ის და გ. ჩ.-ის დაჯარიმებისა და სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაძევების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ზემდგომი სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს მიერ გაუქმებულია თბილისის საქალაქო სასამართლოს განკარგულება, რასაც ემყარება მოსამართლის მიერ ეთიკის კომისიაში რეაგირებისთვის გადმოგზავნილი კერძო განჩინება და ის არ საჩივრდება, მოცემულ საქმეზე დისციპლინური წარმოება უნდა შეწყდეს.

III. სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-6 მუხლის ,,გ“ პუნქტით, მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტით, მე-9 მუხლის ,,ზ“ პუნქტით, მე-19–მე-20 მუხლებით, 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №077/18 ადვოკატ ბ. პ.-ისა /სიითი №...../ და ადვოკატ გ. ჩ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/